აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ.ბათუმი 20.03.2014 წ.

სხდომას უძღვებოდა პრიორიტეტების კომისიის თავმჯდომარე - რამაზ ბოლქვაძე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე).

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები:

იოსებ აბულაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
რომან ბოლქვაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;
ვალერი ბერაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;
დემურ დიასამიძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი;
კახა შაშიკაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ვახტანგ წულაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი;
კომისიის მდივანი	- ცირა აბულაძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ნათია აფხაზავა - „სი-ეს-აი“ ბათუმის ფილიალის დირექტორი;

ციალა ქათამიძე - ა(ა)იპ „ბორჯღალი“-ს აღმასრულებელი დირექტორი;

გიორგი შალამბერიძე - შპს „IGC&MM“-ის დირექტორის მოადგილე, ეკონომისტი.

ლევან გობაძე ა - (ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ,,ინტელექტი" გამგეობის თავმჯდომარე;

გიორგი რომანაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

ნადიმ ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

დავით დუმბაძე - ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

დავით ებრალიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - „რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია“ ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი დემურ დიასამიძე;

2. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,გარემოსდაცვითი პროგრამა“ და „სატყეო სექტორის განვითარება“ ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი ვახტანგ წულაძე;

3. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი კახა შაშიკაძე;

4. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა", ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა", ,,სოციალური დაცვა" და ,,შრომის ბაზრის კვლევა" ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი რომან ბოლქვაძე.

მოისმინეს:

სხდომის საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა მოისმინეს:

1. კომისიის წევრის - დემურ დიასამიძის მოხსენება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის დემურ დიასამიძის განმარტებითი ბარათი - **დანართი #1)**
2. კომისიის წევრის - ვახტანგ წულაძის მოხსენება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და მის სისტემაში შემავალ ააიპ „სატყეო სააგენტოს" პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის ვახტანგ წულაძის განმარტებითი ბარათი - **დანართი #2)**
3. კომისიის წევრის - კახა შაშიკაძის მოხსენება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის კახა შაშიკაძის განმარტებითი ბარათი - **დანართი #3)**
4. კომისიის წევრის - რომან ბოლქვაძის მოხსენება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი სსიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა" და სსიპ „დასაქმების სააგენტოს" პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის რომან ბოლქვაძის განმარტებითი ბარათი - **დანართი #4)**

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები:

კომისიის თავმჯდომარემ რამაზ ბოლქვაძემ გამოთქვა მოსაზრება პროგრამის ფარგლებში ცვლილების თანახმად მოთხოვნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის განვითარების სტრატეგიული გეგმის დოკუმენტის მომზადება დეპარტამენტის ადმინისტრაციული ხარჯებიდან განხორციელების შესახებ.

ასევე გარემოსდაცვითი პროგრამის ქვეპროგრამის „ეროზირებულ ტერიტორიაზე ტყის გაშენება" ქვეპროგრამის გაუქმება რამდენად მიზანშეწონილია 2014-2017 წლებში და შესაძელებელია თუ არა სამომავლოდ კვლავ დაიგეგმოს ეროზირებულ ტერიტორიაზე ტყის გაშენება?

ნათია აფხაზავამ დასვა შეკითხვა როგორ ხდება პროგრამაში „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ცალკეული ღონისძიებების განსაზღვრა და რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა თუ რომელი გზების, ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია დაგეგმილია მიმდინარე წელს.

რა არის მიზეზი პროგრამა ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა", ქვეპროგრამის „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკაში" ტენდერის შედეგად თანხის შემცირება 202 000 ლარით და არის თუ არა შესაძლებელი ქვეპროგრამის შესაბამისი ღონისძიებების ხარისხიანად შესრულება?

გამოთქმულზე გაკეთდა განმარტებები:

დემურ დიასამიძემ განმარტა, რომ ვინაიდან სტრატეგიული გეგმა არა მარტო ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სამოქმედო გეგმაა, არამედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების სფეროს შემდგომი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტია, რომელშიც უნდა გაიწეროს ყველა ის მიმართულება და ღონისძიება, რაც სამომავლოდ რეგიონის პრიორიტეტი იქნება, ამდენად ზემოაღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაზე ხარჯები პროგრამიდან უნდა განხორციელდეს.

ვახტანგ წულაძემ განმარტა, ვინაიდან ქვეპროგრამა „ეროზირებულ ტერიტორიაზე ტყის გაშენება" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ შესრულებულა მიმწოდებლის მიმართ მომზადდა სასარჩელო გაცხადება, რომელიც გადაიგზავნა სასამართლოში ვიდრე სასამართლო დავა არ დასრულდება, მიზანშეუწონელია ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ტეიტორიებზე რაიმე საქმიანობის წარმართვა.

კახა შაშიკაძემ განმარტა, რომ საგზაო დეპარტამენტის პროგრამის დაგეგმვა ხორციელდება მოსახლეობასთან შეხვედრებისა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით.

რომან ბოლქვაძემ განმარტა, აღნიშნული თანხის შემცირება ტენდერის შედეგია და გამარჯვებულ ფირმაზე სსიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" მიერ მოხდება მკაცრი კონტროლი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე.

მსჯელობის შედეგად კომისიამ დაადგინა:

მოწონებული იქნეს:

1. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - „რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია" ცვლილებები.

2. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,გარემოსდაცვითი პროგრამა" და „სატყეო სექტორის განვითარება" ცვლილებები.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ცვლილებები.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა", ,,საზოგადოებრივი

ჯანმრთელობის დაცვა", ,,სოციალური დაცვა" და ,,შრომის ბაზრის კვლევა" ცვლილებები.

კომისიის წევრები:

იოსებ აბულაძე

რომან ბოლქვაძე

ვალერი ბერაძე

დემურ დიასამიძე

კახა შაშიკაძე

ვახტანგ წულაძე

მოწვეული სტუმრები:

ნათია აფხაზავა

ციალა ქათამიძე

გიორგი შალამბერიძე

ლევან გობაძე

გიორგი რომანაძე

ნადიმ ვარშანიძე

დავით დუმბაძე

ტარიელ ებრალიძე

კომისიის თავმჯდომარე **რამაზ ბოლქვაძე**

კომისიის მდივანი ცირა აბულაძე